ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2025 წელს გაცემული
საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად 2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 3 (სამი) განცხადება, აქედან მოთხოვნა შემოვიდა 2 მოქალაქისგან, ხოლო 1 იურიდიული პირისგან. გაცემული საჯარო ინფორმაციის რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 3-ს. საკრებულოში არ შემოსულა განცხადება ისეთი ინფორმაციის მოთხოვნაზე, რომლის გაცემაზეც საკრებულოს ეთქვას უარი.

საანგარიშო პერიოდში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

საჯარო მონაცემთა ბაზების, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის და სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

2025 წელს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დახურული სხდომა არ ჩატარებულა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა მიმართ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევისა და საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სასჯელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ლელა შამათავა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
გოჩა ქაჯაია

Khobi Municipality

Digitally signed by Khobi Municipality
Date: 2025.12.09 12:54:41 +04'00'